ეროვნულ დემ.-ლი პარტია. კვირა, სექტემბრის 21 1919 წ. № 176 ფასი 2 მანეთი

57

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ქვეყანა

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი.

კანტორა

გაზეთის ფასი: ერთი თვით 50 მან. 3 თვით 130 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე 1 მ. 50 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოეულ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 50 მ., 12 საათის შემდეგ 60 მ.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

ულრმესად დამწუხრებულნი დედა მაკრინე ასლანის ასული კაპანაძისა და-ძმანი: ივანე, პეტრე, მიშა, სონია, ჰარო, ტასო, ანნა (ანიჩკა) და ლუბა, აუწყებს ქართველს საზოგადოებას, რომ ბათუმის პარტიზანულ პოლკის პრაპორშჩიკის ახალციხის ფრონტზე მოკლულის

გიორგი ალექსის ძე კაპანაძის

ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში, კვირას, 21 სექტემბერს (ახ. სტ.) წირვა დაიწყება 10 საათზე და პანაშვიდი წირვის შემდეგ.

გულდამწვარი დედ მამა პავლე მიხეილის ძე და ოლღა მიხეილის ასული მოსეშვილები, ძმები, დები, სიძეები და რძლები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ კვირას 21 ენკენისთვეს გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი, უდროოდ დაკარგულ და დაუვიწყარ ძვირფას

მ ი შ ა ს ი

საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში დილის 10 საათზე. 1—1

ქუთაისის ქალაქის გამგეობას სასურსათო განყოფილებას

შეძენილი სხვა და სხვა საქონელი, რომელთაგან დიდი უმრავლესობა ნახმა- და ზოგიც დახეული. ყველას თავის შესაფერი ფასები აქვს დადებული. გამ- ბის დადგენილებით ეს საქონელი განაწილდება სხვა და სხვა სახელმწიფო და ოგადოებრივ დაწესებულებებში მოსამსახურეთა შორის. ყველა დაწესებულებებთ ძლიათ სამი დღის განმავლობაში სახელდობ 22—23—24 ენკენისთვეს წარ- დგინონ სია მოსამსახურეთა, რომლის მიხედვითაც განაწილდება აღნიშნული ონელი დაწესებულებებზე და უკანასკნელნი დაურიგებენ მას უფრო ღარიბ მო- ახურეებს მათივე გამომუშავებული ნორმით. 24 ენკენისთვის შემდეგ სიები რ მიიღება. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სიის წარმომდგენმა დაწესე- ებამ უნდა გამოგზავნოს თავის წარმომადგენელი ხვედრი საქონლის მისაღებათ და განყოფილებაში ანგარიშის გასასწორებლათ. 1—1

წესებულებათა და დამქირავებლებთა საყურადღებოთ.

აისის ქალაქის თვითმართველობა, თანახმათ საქართველოს დამფუძნებელი კრე- დეკრეტისა ერთდროული სანიტარული გადასახადის შემოღებისა, ამით აუწ- ს დაწესებულებლებს და დამქირავებლებს, რომ ისინი, დეკრეტის მე-5 მუხ თანახმად, **მოვალენი არიან** კანონის გამოქვეყნების დღიდან (31 ივლისი 9 წ.) თავიანთ მოსამსახურეებს ჯამაგირის პირველ დარიგებისთანავე აღნიშნუ- გადასახადი ერთბაშათ დაუჭირონ თვითმართველობის სასარგებლოთ და წარ- დგინონ თვითმართველობაში ცალკე სიით, სადაც აღნიშნული უნდა იყოს გა- ველთა სახელი, მამის სახელი და გვარი, მისამართი და რაოდენობა გადასა- ისა წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ჯარიმად მთელი გადასახადის 50 პროცენტი შეეწერებათ.

გადასახადის რაოდენობა მოსამსახურეებთათვის:

901 მან.	1000 მ	1%	—8—9 მან.
1001 „	—1200 „	2%	20—24
1201 „	—1500 „	3%	—36—45
1501 „	—2000 „	4%	—60—80
1001 „	—2500 „	5%	—100—125
2501 „	—3000 „	7%	—175—210
3001 „	—4000 „	10%	—300—400
4001 „	—6000 „	15%	—600—9008
6001 „	—8000 „	20%	—1200—1600
8001 „	—10 000	25%	—2000 2500
10,000	და მეტი	30%	-ი

საჩქაროთ გვჭირდება გამოცდილი მოამბე (ხრონიკორი) და ექსპედიტორი პირობების გაგება შეიძლება გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში.

ჩვენი მოუწყობლობა.

სულის შემხუთველი ატმოსფერა შექმნა: თუ გაბედე და აწინდელი მართვა-გამგეობის სისტემას კრიტიკის ხელი შეახე, მმართველი პარტია იმ წამსვე საქართველოს მოღალატედ გამოგაცხადებს.

დიაღ! მოქალაქობრივი ვაჟკაცობა უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ცილისწამებას არ შეუშინდეს და სიმართლე სთქვას.

იმავე დროს ჩვენს პატრიოტულ გრძნობასაც ნამუსში აგდებენ და ზნეობრივად გვაიძულებენ, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი მოუწყობელობის შესახებ არა ვთქვათ რა. ცუდი ხმების გახიახება—ჩვენი დამოუკიდებლობის საქმეს ავნებსო, გვაფრთხილებენ.

ამით ლამობენ, პირში ბურთი ჩაგვჩარონ!

ეს კიდევ ცოტაა. როცა გაფრთხილება და მუქარა აღარა სჯერს, გაზეთის დახურვა და ჟურნალისტის ციხეში დამწყვდევასაც კი არ ერიდებიან! მერე როგორ?! გაუსამართლებლად, ადმინისტრაციული წესით.

სოფლად ხომ ტლანქი, უხეში ტერორი დაატრიალეს!

ჩვენ კი გვგონია, რომ დამალული არა არის-რა და, თუ რასმე ვაშავებთ, ევროპა ჩვენზე უფრო აღრე ტყობილობს თავისი აგენტებისა და ჩვენი მტრების წყალობით.

დიაღ! ამაოდ ფიქრობს ვინმე, რომ ევროპის ცნობის მოყვარე ხალხს მოატყუებს.

და ეს მით უფრო ძნელია, რომ ევროპას—განუწყვეტელი ეკონომიური კავშირი აქვსო ჩვენთან.

როგორ დავარწმუნებთ, მაგალითად, გერმანიას, რომ ჩვენში კარგად არის მოწყობილი საქონლის გადაზიდვის საქმე, როდესაც ჩვენმა მთავრობამ ჩვენი დიპლომატიური მისსიის მიერ შეძენილი ქალალდისა და წამლების ჩაბარება ფოთში სამი დღით დააგვიანა, დღეში ცხრაათას—ცხრაათასი მარკა ჯარიმა გადაიხადა და რაღაც ოთხასი ტონნის გემიდან გადმოტვირთვა ისე გაუძნელდა, რომ ის ქალალდი და წამლები მოტანის ფასადაც კი არა ღირდა?!

ჩვენ ვიცით, რომ გერმანელი კაპიტალისტები მზად არიან დღესვე თუნდ ოცდაათი მილიონი ფუთი შავი ქვა გაიტანონ, აგრეთვე ინგლისელები დასხვებიც.

მაგრამ გატანას ხომ მუშა ხელი სჭირდება, მუშა ხელის გამრავლებას კი წინ გადაღობებია ჩვენში გამეფებული მუშაობის სისტემა.

მეორე მხრით შავი ქვა და თუთუნი—ორად—ორი სავალიუტო საგანია, რომელსაც დღეს საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. სხვა სავალიუტო საქონელი ჯერ—ცოტა გვაქვს.

მაგრამ, შავი ქვა თუ ვერ დავამზადეთ და ვერ გავიტანეთ და ჩვენი ფულის კურსი თუ ევროპის ფულის კურსს ვერ გავუთანასწორეთ, სიძვირესთანა და შიმშილობასთან ბრძოლას რით შევძლებთ?!

დიაღ! მეტად დიდი უფლება აქვსთ მინიჭებული მუშათა კავშირებს.

უეჭველია, თუ სახელმწიფომ დასთმო და კავშირთა უფლების უზენაესობა აღიარა, საქართველო მუშათა სინდიკატების დიქტატურის ქვეყანად გადიქცევა და, როგორც სახელმწიფო, ვერ აშენდება, პირიქით, დაიქცევა.

ცხადია, რესპუბლიკა ამას ვერ იქმს და თავის უზენაეს სახელმწიფოებრივ უფლებას ვერ დასთმობს!

ორში ერთი უნდა იყოს: ან მუშათა კავშირის უფლებრივი უზენაესობა ან საქართველოს სახელმწიფოებრიობა! სხვა გზა არ არის!

სამწუხაროდ, მთავრობის პოლიტიკა სახელმწიფოებრივ პოლიტიკას არ შეესაბამება. და ჩვენი მოუწყობელობის უმთავრესი მიზეზი ეს არის.

არა ვსთქვათ? არ შევიგნოთ ჩვენი საბედისწერო მდგომარეობის მიზეზი? განგებ დავიბრმავოთ თვალი!

არა! სიმართლის თქმა—მოქალაქობრივი მოვალეობაა!

მაშასადამე ყველაფერს მოურიდებლად ვიტყვით და არაფერს არ დავფარავთ, ვინაიდან გვწამს: მხოლოდ შეგნებაშია ხსნა.

ნესტარი.

ახალი საფრთხე.

ეს ორი წელიწადია პოლიტიკური განახლებით ვხარობთ და ვსიამოვნებთ, ორი წელიწადია დიდ გაჭირვეაში ვართ და ათასგვარ შეწუხებას ვითმენთ, მაგრამ რადგან პოლიტიკურ თავისუფლებას ვფლობთ და მისი შერჩენა გვეიმედება—ყველაფერი ცუდი გვავიწყდება.

მართლაც **პოლიტიკური თავისუფლება ერის ბედნიერებაა**, ამისათვის კი ღირს ბრძოლაც და ტანჯვა-ვაების ატანაც, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც პოლიტიკური თავისუფლება სინამდვილეა და არა ლანდი, მოჩვენება, სიზმარი.

ჩვენი პოლიტიკური თავისუფლება სინამდვილეთ ჯერ ვერ გადაიქცა.

პოლიტიკური თავისუფლება ისე არ განმტკიცდება და ხალხს ვერ გაბედნიერებს, თუ ხალხი გონებრივათ და ზნეობრივათ არ ამაღლდა, თუ ხალხი სულიერათ არ გადახალისდა. სამწუხაროდ ჩვენში ეს პროცესი, ეს სულიერი გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაქმნა ძლიერ სუსტათ ხდება. პოლიტიკურ რევოლიუციას ჩვენში ისეთი ეკონომიური რევოლიუცია დაერთო, რომელიც ნამდვილ განსაცდელში გვაგდებს და მომსპობი ხიფათის წინაშე გვაყენებს

ყალბათ გაგებული სოციალური რეფორმები და ნაჩქარევათ გადადგმული სოციალისტური ნაბიჯები პოლიტიკურ თავისუფლებას დღეს არის თუ ხვალ ანარქიაში ჩაახრჩობს.

პოლიტიკური თავისუფლების ხანაში ჩვენში დამნაშავობა იზრდება; ყოველი დარგი დამნაშავობის: ქურდობა, მტაცებლობა, ავაზაკობა, და სხვა ჩვენში გადამდები სენის ხასიათს ღებულობს. **პიროვნული დამნაშავობა ჯგუფურად იქცა**. ეს ძლიერ ცუდი ნიშანია ხალხის კეთილდღეობის ორიზონტზე. სწორეთ განსაცვიფრებელია დღევანდელი სინამდვილე. ღამით მატარებელს აჩერებენ და სამას, ოთხას მოგზაურს მთელი ავაზაკთა ჯარი თავს ესხმის და სცარცვავს. ცხრა დღის განმავლობაში ოთხგან მატარებელი იცარცვება, იცარცვება ისე ადვილათ, ისე მოწყობილათ, რომ ერთი დამნაშავეც კი სამართლის წინაშე არა სდგას. მატარებლებს ამტვრევენ, მოგზაურებს სცემენ, მათ საკუთრებას ეპატრონებიან, და სრულიად კმაყოფილი ავაზაკთა ბრბო ალტეინათ დასეირნობს. დიახ, ძლიერ იმატა დამნაშავეთა რიცხვმა, იმდენათ იმატა რომ დღეს თუ ხვალ მთავრობას იარაღს დააყრევინებს, რადგან მთელი თემის დაჭირვა და გასამართლებაც აღარ შეიძლება.....

საიდან შედგა ეს ჯგუფები, ეს რაზმები, ეს მთელი ჯარი ავაზაკების?

უმუშევრათ დარჩენილი მუშები, სამსახურიდან უცებ დათხოვილი მოხელეები, ქონება ჩამორთმეული მცხოვრებლები, აწიოკებული ოჯახები, სატუსაღოდან გაუსამართლებლათ გამოშვებულნი, დაუსჯელი დამნაშავენი, უთაური მოხელეებისაგან გულგახეთქილი პირები სილარიბით და შიმშილით ტანჯულნი და სხვა ათასი და ათი ათასი უკმაყოფილო პირები განა ავაზაკთა რაზმებს ვერ შექმნიდა? განა ძნელი იყო ასეთი გზა მოეძებნა არსებობისათვის ცეცხლის ალში ჩავარდნილ ადამიანს?

დიახ, ყოველივე ეს მოსალოდნელი იყო, ყოველივე ეს შედეგია ნაჩქარევათ გადადგმული სოციალისტური ნაბიჯებისა, მაგრამ დღეს მეტი აღარაფერი გაეწყობა, შეცდომა ვინანოთ და გამოცდილებით ჭკუა ვისწავლოთ. ჯგუფურ ავაზაკობას, მასსიურ დამნაშავობას ვერ მოსპობს სასჯელი და ვერ შეაჩერებს მილიციონერის თოფი. საჭიროა სულ სხვა ზომა, ზომა რადიკალური და ხალხის თანხმობით შემოღებული და არა დეკრეტით ნაბრძანები.....

ტრიფონ ჯაფარიძე.

ჩრდილოეთის საფრთხე.

ბედი კარს მოგვადგა.

დიდი რუსეთი შინაური ბრძოლის სარბიელად გადიქცა, დაიშალა და დაიქანცა.

ფინლიანდია, ლიტვა, პოლონეთი, უკრაინა, ყუბანი, კავკასია—მოსწყდენ და ჩამოშორდენ.

ჩვენმა მმართველმა პარტიამ დიდი რუსეთის დაშლის ქმნადობა გვიან შეიგნო და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება დააგვიანა.

ამით ბევრი წავაგეთ. მაგრამ ბედი მაინც გვწყალობდა.

გერმანიამ ოსმალეთს საქართველოს განადგურების ნება არ მისცა.

შემდეგ ინგლისმა ოსმალების ჯარები სამაჰმადიანო საქართველოდან განდევნა და მით შუაზე გაყოფილ საქართველოს გამთელებას ხელი შეუწყო.

სომხებს შეშურდათ ჩვენი ბედი, დრო შეგვირჩიეს და შემოგვესიენ. მაგრამ ქართველთათვის ამ ომმა ეროვნული ხასიათი მიიღო და სომხები სასტიკად დამარცხდენ.

უკანასკნელ დროს უდიდესი მნიშვნელობის ამბავი მოხდა: სამაჰმადიანო საქართველოს ყრილობამ საქართველოსთან შეერთება დაადგინა და ეს დადგენილება ჩვენს მთავრობასა და ანტანტისა და ინგლისის წარმომადგენლებს დელეგატების პირით შეატყობინა.

იმავე დროს აჭარლებისა და მესხების შემწეობით შეგვიძლია შევიერთოთ ლაზისტან—ისპირ—თორთუმიც.

ამგვარად ისტორიული საქართველოს გაერთიანება შესაძლებელი შეიქნა.

დასასრულ საქართველოს დამოუკიდებლობას ხელს უწყობს აგრეთვე: მისი გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც მას ევროპასა და აზიას შორის ხიდად ქმნის, ბრწყინვალე ისტორიული წარსული, კულტურა და განათლება, ბუნების სიმდიდრე, წინაპართაგან ნაანდერძევი რაინდული, კეთილშობილი ეროვნული ხასიათი, სიმამაცე, ნიჭიერება და სხ.

მეორე მხრით, იზრდება ის ვეებერთელა ძალი, რომელიც წარმოადგენს საშინელ საფრთხეს საქართველოსათვის: დენიკინ კოლჩაკის რუსეთი.

რუსეთში სიკვდილ-სიცოცხლისათვის ბრძოლაა ორ ბუმბერაზს წითელ ჯარსა და დენიკინ კოლჩაკის ჯარს შორის.

მილიონი მეომარი ებრძვის ერთმანეთსა და ეცილება რუსეთზე გაბატონებას.

და, დღეს თუ ჩრდილოეთის მხრით ძყუდროებაა, ამის მიზეზი—ეს ბრძოლაა.

მაგრამ წითელი ჯარის დღეები დათვლილია, ვინაიდან მას არავინ ეშველება. მარტოდ მარტოა, ქვეყნიერობას მოწყვეტილია.

მართალია, საოცარი ენერგიით იბრძვის, მაგრამ ეს ენერგია—ძველად დაგროვებული სიმდიდრის ნაყოფია, რომელიც დაუშრეტელი არ არის.

დენიკინ-კოლჩაკს კი—ამერიკა და ანტანტა ამაგრებენ.

და, ვინ იცის, იქნება არც ისე შორს არის ის დრო, როცა მათი ჯარები მოსკოვში შევლენ.

და საქართველოს მაშინ—საშინელი საფრთხე მოელინება!

უეჭველია: როგორც კი დენიკინ-კოლჩაკი მოსკოვს დაიპყრობენ, იმ წამსვე მოეწყობა დროებითი მთავრობა, რომელიც კავკასიის რუსეთთან შეერთების აქტს გამოაცხადებს.

ამ აქტის გამოცხადებას კი ზედ დაერთვის სამხედრო მოქმედება.

დიაღ! ჩრდილოეთიდან საშინელი საფრთხე გვემუქრება!

და ჩვენი მთავრობა მოვალეა აგვარიდოს ეს საფრთხე.

საფრთხე კი მხოლოდ მაშინ აგვშორდება, თუ კი ანტანტა ჩვენს დამოუკიდებლობას მანამდის აღიარებს, ვიდრე კოლჩაკ-დენიკინის მთავრობა მოსკოვს დაიპყრობდეს და რუსეთს გააერთიანებდეს.

მაშასადამე, საჭიროა, რაც შეიძლება მალე იქნეს აღსარებული ევროპის მიერ ჩვენი დამოუკიდებლობა!

მაშასადამე, მთავრობამა და მმართველობამ ამ დაჩქარებას, რომელზედაც საქართველოს ბედი ჰკიდია, ყოველგვარი სხვერპლი უნდა შესწიროს, საკუთარი პარტიული ინტერესებიც კი.

მით უფრო, რომ, თუ საქართველოს დენიკინისა და კოლჩაკის ჯართან ბრძოლა დასჭირდება, არა მგონია, ეს მმართველი პარტიისათვის სასარგებლო შეიქნეს.

მაშ შეთანხმება ინგლის საფრანგეთ-ამერიკა-იტალიასთან—აი მორიგი და მეტად საჩქარო პოლიტიკური ნაბიჯი.

სხვა გზა არ არის!

ქვერი.

პრესა.

„ერთობა“ და გადასახადები.

გაზეთი „ერთობა“, რომელიც [illegible] დგმულებს მართველი [illegible] კაცები“, ყველაფერს რეაქციას და [illegible] ქციონერებს აბრალებს. თვით „ერთ[illegible] კანახით წამხდარ საქმეებსაც რეა[illegible] ნერებს აწერენ.

არ ვიცით ვინ არიან შენში რ[illegible] ონერები. უკმაყოფილო ელემენტე[illegible] რეაქციონერებს უწოდებენ, იმ შ[illegible] ვაში ქართველი ერის 90 პროც[illegible] რეაქციონერები ყოფილან, მაგრამ [illegible] არ არის. ამას ვერც „ერთობა“ [illegible] რადგანაც ბევრია უკმაყოფილო [illegible] დემოკრატიულ პარტიაშიდაც.

გუშინდელი მენშევიკი დღეს ბ[illegible] ვიკობს, ესერები ბოლშევიკებსაც [illegible] ებენ. ორივე კი ერთად სოფლად [illegible] სბთველოს მთავრობის სახელის გასა[illegible] რაგიტაციას ეწევიან. ეს კარგად [illegible] როგორც მთავრობამ ისე მართველ[illegible] რტიამ და მათმა ლეიბ ორგანომ „[illegible] ბამ“, მაგრამ ხსენებული გაზეთი ამ [illegible] რის ხალხზე კი არაფერს ამბობს, [illegible] პირ კი არ ასახელებს მოლალა[illegible] და რეაქციონერებს, არამედ ბრჭყ[illegible] სწერს და ვერ ბედავს მკითხველებს [illegible] ნახოს ვინ არიან ჩვენში რეაქ[illegible] ნერები.

მართალი არის ჩვენში მთავ[illegible] მიერ სოფლად ახლად დაწერილმა [illegible] სახადებებმა ბევრი აამხედრა. გადასა[illegible] ების სიდიდემ ხალხი ააღელვა, მ[illegible] ეს რეაქციის ბრალი კი არ არის, [illegible] მედ ნაყოფია მართველი პარტიის [illegible] მართობისა.

ურწმუნო თომებს ეს არ სჯ[illegible] თორემ „ერთობის“ ფურცლებზე ა[illegible] წერდენ შემდეგს:

პროვოკატორებმა კარგათ შ[illegible] ხალხის სულის კვეთება—გადასა[illegible] გადახდა ხალხს ეზარება, არ [illegible] სძულს ასე იყო რევოლიუციამდე. [illegible] ვოლიუციის დროს ხომ სულ ა[illegible] რი გადაუხდია. გადასახადის გ[illegible] დელობაზე აგიტაცია დემოკრა[illegible] დროშად გახდა და ამ ყალბი დ[illegible] ქვეშ სოფლის რეაქციონერები [illegible] ვებულ აგიტაციას ეწევიან შემო[illegible] ლი გადასახადების წინააღმდეგ და [illegible] ამყოლ გულუბრყვილო სოფლ[illegible] ჰგონიათ რომ თავისი უარით [illegible] დაზე, დემოკრატიის ინტერესებს [illegible] ვენ.

ჩვენ ზევითაც ვსთქვით, რომ თუ [illegible]

წარსული და აწმყო.

აწმყო—წარსულის შედეგია. ამიტომ წარსულის შესწავლა აუცილებელია, რომ გავიგოთ, ავხსნათ თანამედროვე მოვლენანი.

ქვეით მოყვანილი სიგელები ნათლად გვისურათებენ იმერეთის საშინელს აწეწილ-დაწეწილ მდგომარეობასა და ამავე დროს ბატონყმურ წესწყობილებას მეთვრამეტე საუკუნეში.

პირველი სიგელი, რომელიც მეფე სოლომონ მეორეს მიუცია ზურაბ წერეთლისა და მისი ძმისწულის ქაიხოსრო წერეთლისათვის (სარდლისათვის), —მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის შლილობათა მოკლე ისტორიას წარმოადგენს.

შოშიტა, ერისთავსა და გიორგი აბაშიძეს შეუთქვამთ პირი, წაუყვანიათ მეფე ალექსანდრე ქართლსა და მოუკლავთ რუისში. მეფის შვილი გიორგი გადაკარგულა, მაგრამ ოცდახუთი წლის შემდეგ კვლავ დაუპყრია იმერეთი, განუძევებია აბაშიძე, შეუწყალებია შოშიტა და უბოძებია მისთვის საერისთავო. მაგრამ შოშიტას ხელახლა მიუმხრია აბაშიძეები და მეამბოხეებს გიორგი მეფე მოუკლავთ.

შოშიტას სიკვდილის შემდეგ მეფედ დამჯდარა გიორგის შვილი ალექსანდრე, რომელსაც დაუდგენია ერისთავად შოშიტას შვილი გრიგოლ. მაგრამ გრიგოლს მიუბრიებია დადიანი ოტია და მოუყვანია აფხაზთა და ოსმალთა ჯარი და გადაუგდია მეფე ალექსანდრე ქართლს, აქ მეფე დაუჭერიათ სპარსთ და გაუგზავნიათ ახალციხის ფაშისთვის. მაგრამ მეფეს ხონთქრის ჯარით კვლავ დაუპყრია იმერეთი.

გრიგოლს კიდევ მოუყვანია აფხაზები, რომელნიც დაბარგებულან გეგუთს. ალექსანდრეს დაუმარცხებია ის ქუთაისში მდგარი ოსმალების შემწეობით. ამ ბრძოლაში მოუკლავსთ გრიგოლი. ალექსანდრეს შეუწყალებია ძმა მისი ვახტანგ და შემდეგ ვახტანგის ძმა როსტომ.

მაგრამ როსტომს მიუბრიებია გიორგი აბაშიძის შვილი ლევან და გადუგდია ალექსანდრეს ძე მეფე სოლომონი (დიდი) ახალციხეს. სოლომონს კვლავ დაუპყრია იმერეთი და შეუწყალებია როსტომ. როსტომს კვლავ შეუერთებია ლევან აბაშიძე, მოუყვანია ოსმალნი და დასხმია თავს სოლომონს, მაგრამ დამარცხებულა. შემდეგ ორჯერ კიდევ მოუყვანია ოსმალნი და ორჯერვე დამარცხებულა. კიდევ მოუყვანია ოსმალნი და გადუგდია მეფე, რომელიც სარდალს ქაიხოსრო წერეთელს დაუმალავს.

დასასრულ მეფე სოლომონს კვლავ დაუპყრია იმერეთი, შეუპყრია როსტომი და მისი შვილები და დაუგლახაკებია.

ხსენებულ სიგელში აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ მეფეს უბოძებია წერეთლისათვის აზნაურები მათი მამულებითა და ყმებით, აგრეთვე ეკლესიები ყმებითა და მამულებითურთვე,—უბოძებია, როგორც უბრალო საჩუქარი, ნივთი.

ამასვე მოწმობს მეორე სიგელი, სოლომონ პირველის მიერ მიცემული გიორგი აბდუშელიშვილისთვის 1762 წელს. მეფეს უბოძებია გიორგისთვის ერთგული სამსახურისათვის ყმები და მამულები.

გიორგი აბდუშელიშვილის სიგელის დამწერს კარის მწირველს და მეფის მოძღვარს სვიმონსაც (ბაბუაჩემის ბაბუას)—მიუღია მეფე სოლომონისაგან ამგვარივე სიგელი. სვიმონის მიერ შვილისთვის დატოვებულ ანდერძში წერია: შვილო გრიგოლ! ჯერ მეფე ალექსანდრეს ვეშსახურე, მერე მეფე სოლომონსო, ჰადელი აბაშიძე მეფის სამსახურში მოკვდა, მეფემ მისი ქალიშვილი მომათხოვა და მისი წილი ყმა და მამული მიბოძაო.

სვიმონის შვილს მეფის მდივანს გრიგოლს, მიუღია მეფისაგან, როგორც საჩუქარი, ჰარელიძეები, ტყემალაძეები მაჭარაშვილები, ცერცვაძეები, ნადირაძეები..,

ეს სიგელები წერაკითხვის საზოგადოების წიგნსაცავში ინახება.

ამგვარი სიგელი ჩვენში—აურიცხველია.

მაშასადამე, მეფეს რომ დიდებულისთვის, დიდებულს კი უბრალო აზნაურისთვის ყმების ბოძება შეეძლო, ეს უეჭველი, დამტკიცებული ისტორიული ფაქტია.

აქედან კი გამომდინარეობს დასკვნა: ყმის უფლებრივი მდგომარეობა საშინელი უნდა ყოფილიყო.

და ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს დღევანდელ ცხოვრებაში.

ის ძალადობა და ჩაგვრა, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში ადგილი [illegible] ნია, წინაპრებს ახლანდელი თაობისა[illegible] არა თუ მარტო ამბად გადმოუციათ, [illegible] მედ გულში ძულების ხესლად უა[illegible] ძებიათ.

მე თვითონ ვყოფილვარ მოწმე: [illegible] დარ გლეხს თავისი შვილისთვის ბა[illegible] ყმობის სიმწარე უამბნია და მამა[illegible] მათი ძველის შემაწუხებელს წყევა კ[illegible] ვით იხსენიებდენ.

დიაღ! ძულება თავად-აზნაურთა[illegible] წის მუშის გულში—ისტორიული წ[illegible] ლის მიერ ნაანდერძევი ნაშთია, [illegible] ვიზმია.

მეორე მხრით, თავად-აზნაურთა [illegible] მომავლობასაც დარჩენია გარდასრ[illegible] წოდების ზოგიერთი ტრადიცია: გ[illegible] მეტი ერული თავმომწონეობა, სხვისი [illegible] როვნების არ დაფასება და სხ. (იხ. [illegible] შესახებ გუმპლოვიჩის „სოციოლოგ[illegible]

ეს კი რასაკვირველია, კიდევ [illegible] ამწვავებს სოციალურ ურთიერთობას[illegible]

მაშასადამე, თანამედროვე სოციალ[illegible] ცხოვრება, რომელსაც ბატონყმური [illegible] ნომიურისა და უფლებრივი ურთიერ[illegible] ბის ალარა აქვს-რა, შერყეულია [illegible] სოციალური ორგანიზაციის მიერ ნ[illegible] რძევი მღელვარებით.

და თუმც სადაო და საცილებელ[illegible] რა გვაქვს-რა, მაინც ვებრძვით ერთმა[illegible] ვინაიდან წინაპართაგან ნაანდერძევ[illegible] გულისთქმანი გვამოძრავებენ.

დიაღ! ბრძოლა ეგრეთწოდებულ[illegible] ხებსა და თავადებს შორის==დრომ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლად ასეთი პროვაკატორები, ესენი არიან ის ხალხი რომელნიც გუშინ მართველი პარტიაში ირიცხებოდენ და პარტიული მანდატებით სოფელს იმგვარათვე სწმლავდენ, როგორც დღეს.

თვით „ერობაც“ არ აკლებდა ხელს. რათ არ ახსოვს „ერობას“ დღევანდელ ხელმძღვანელებს, რომ ისინი ხალხს და ახალგაზრდობას პატიებას პირდებოდა? ეს დეკიზი მართველი პარტიის გადასროლილია სოფლად ამისთვის ჩვენ ჯათ ვებძროდით. ჩვენ მათ ვარწმუნებდით, რომ სახელმწიფო გადასახადების აუკრეფლად ვერ იარსებებდა, მაგრამ იმის შიშით, რომ ხალხს მათთვის ხმები არ დაეკარგა,—ყოველგვარი გადასახადებების მოსპობას პირდებოდენ.

ეს კარგად ახსოვს იმათ ვისაც დღეს ფურცლებით მიადგენ და სოფელიც მიტომ ღელავს.

ეჭვი არ არის გადასახადი უნდა შეიკრიბოს, მაგრამ იმ სისტემით კი არა მთავრობა, რომ ადგია, არამედ ეს უნდ-ყოფილიყო თანდათანობით, რაც ხალხსაც გაუადვილებდა საქმეს და არც დაივიწყებდენ, რომ სახელმწიფოს არსებობისათვის ეს აუცილებელია.

ახალი ამბები

ქუთაისი.

რედაქციისაგან. დღეიდან ჩვენი გაზეთის გამოცემა კვლავ განახლდა. რედაქცია შეეცდება გაზეთი ყოველთვის გადიდებული ფორმატით გამოვიდეს. თვითეული № დღეიდან ეღირება 2 მანეთად. ძველ ხელის მომწერლებს გაზეთები ეგზავნებათ, მაგრამ ისეთ პირებს ვთხოვთ რედაქციაში შემოიარონ და შეგვატყობინონ სურთ მათ გაზეთი თუ არა. უნდა წარმოდგენილ იქნეს აგრეთვე გაზეთის ფასი, როგორც ახლის ისე ძველი.

დანიშვნა. ქალთა პირველი გიმნაზიის (ყოფილი წმ. ნინოს სასწავლებელი) დირექტორად დაინიშნა არ. ჩხენკელი, ქალთა მეორე გიმნაზიის დირექტორათ კი ბ. სპ. ჯორჯიკია.

თანამდებობაზე დამტკიცება. ქალთა მეორე გიმნაზიის დირექტორათ განათლების სამინისტრომ დაამტკიცა ბ. სილოვან ხუნდაძე,

ხონის რკინის გზა. ხონის რკინის გზის მუშაობა სისწრაფით სწარმოებს.

საერობო წვრილი ერთეულები ამ მოკლე ხანში მოხდება კურსების, საწერის, ჭოგნარის, ქვიტირის, კიკნაველეთის, სიმონეთის, ოფიჩხეთის და ზეკარის თემების საერობო წვრილი ერთეულების ხმოსანთა არჩევნები

ღლეობა. დღეს გელათის მონასტრის დღეობაა (ბღვარისშობლობა), ამიტომ წირვას მონასტრის მთავარ ტაძარში შეასრულებს იმერეთის მიტროპოლიტი ნაზარ ქუთათელი მთელი დღე ქუთაისსა და გელათს შუა დანიშნულია სამოძრაოდ განსაკუთრებული მატარებლები.

სწავლის დაწყება. გუშინ ყველა სასწავლებელში მთავრობის განკარგულებით სწავლა უნდა დაწყებულიყო. ამიტომაც მოსწავლეები სოფლებიდან თანდათან ჩამოდიან.

საბაჟოს გადმოტანა. მთავრობის განკარგულებით ნატანებში საბაჟო გაუქმებულია, საბაჟო ყოველ ქალაქში გაიხსნება. ქუთაისში საბაჟო ბინათ დაიკავეს თუმანოვის სახლები, სადაც რუსეთის დამზღვევი საზოგადოება იყო მოთავსებული.

შეწირულება. გაბრიელის სახელობის ქალთა გიპნაზიის კორპორაციამ საქართველოს უნივერსიტეტს შესწირა ერთმანეთ შორის მოგროვილი 535 მანეთი.

შკოლების გადაჯგუფება. მთავრობის განკარგულებით საშუალო სასწავლებლიდან არსებული მოსამზადებელი კლასები ქალაქის თვითმართველობის გამგეობაში გადავიდა.

მიტროპოლიტის გამგზავრება. გუშინ დილით მიტროპოლიტი გელათის მონასტერში გაემგზავრა.

ინსტრუქტორის მოწვევა. ქალაქის გამგეობა იწვევს ქალაქის სასწავლებლების გამგე—ინსტრუქტორს. მთხოვნელებს შეუძლია თხოვნით მიმართოს ქალაქის გამგეობას.

ქალაქის სხდომა. ხვალ დანიშნულია ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელზედაც უნდა გაირჩეს გამგეობასთან არსებული სასურსათო განყოფილების მოქმედება.

წიგნის გამომცემლობა „მერანი“ შეუდგა ჯ. ჯორჯიკიას და ალ. თორაძის ფრანგული სახელმძღვანელოს ბეჭდვას. წიგნი გადიდებულია და გამოვა ამ ორ კვირაში.

მოწაფეთა კრება. დღეს, 21 სექტემბერს არქიერის გორაზე მესამე გიმნაზიის შენობაში დანიშნულია ხსენებული გიმნაზიის მოწაფეთა კრება.

ბათომი. ბათომის ნავთსადგური, აჭრელებულია სხვადასხვა ფერის ბაირაღებით, გემებით თუ ნავებით.

არას დროს ბათომში იმდენი ხალხი არა ყოფილა რამდენსაც ეხლა აქ მოუყრია თავი. ამის გამო აქ საარაკო სიძვირეა: ხორცი 25 მან. გირ., რძე 15 მან. ბოთლი, პური 10—12 მან. და სხვა. ეს სიძვირე კი მძარცველობას უწყობს ხელს.

ყოველ დღე ინგლისელთა ეშელონები გადიან ბათომიდან.

500—600 ქართველ მოსწავლეთ მოუყრიათ თავი, შარშანდელი ბინა არ იტევს, ხოლო ახალის შოვნა შეუძლებელია, ამის თაობაზედ ქართველ და რუსებს შორის ბრძოლაა.

ხორცის ნიხრი. ქუთაისის ქალაქის გამგეობამ ხორცზე შემდეგი ნიხრი დააწესა: საქონლის დაუწონავი გირვანქა 8 მანეთი, ღორის გატყავებული და ბურაკის გატყავებული გირვანქა 8 მანეთი, ცხვრის 9 მანეთი, თხის 7 მანეთი, ხბოს 7 მანეთი, კამეჩის დაუწონავი 6 მანეთი, ღვიძლი, ტყლიპი და ფიფვი საქონლის 4 მანეთი. ქონი ყოველგვარი გირვანქა 15 მანეთი.

ოქმი. საქონლის მალულად დაკვლისთვის ბაზრის ზედამხედველმა ი. კუპრაშვილმა ოქმი შეუყენა ყასაპს არჯევანიძეს.

გერმანული პრესის ცნობები.

უნგრეთის მთავრობამ გარეშე საქმეთა მინისტრათ ზომზახი დანიშნა. იულიუს ფონ-პეკა—უპორტფელო მინისტრად უცხოელ მისიებთან მოსალაპარაკებლად შინაგან საქმეთა და ვაჭრობის მინისტრის ადგილები ჯერ ცარიელია.

მოლაპარაკება გრძელდება იმის შესახებ, რომ აქსელროდი და რადეკი რუსეთს გადასცეს, სამაგიეროდ რუსეთში მყოფი გერმანელები დააბრუნონ გერმანიაში რადგან გაცვლა ლიტვასა ლატვიაზე უნდა მოხდეს მოლაპარაკება ანტანტის მთავრობასთან სწარმოებს, რომელიც თავის მხრით მოითხოვს, რომ რუსეთში მყოფი ლიტველებიც დაბრუნებული იქნენ.

ქ. ვოლმარში და პოზნანის პროვინციაში დამოუკიდებელთა პარტიამ გერმანიის პარტიასთან შეერთება აღიარა. ამ გვარად ყველა გერმანული პარტიები გერმანიის ყოფილ პროვინციაში—პოზნანში—გაერთიანდნენ.

ფრანგული პრესის ცნობები.

უმაღლესმა საბჭომ გუშინ განაცხადა, რომ არა სასურველ ინციდენტის თავიდან ასაცილებლათ რაც შეიძლება მალე უნდა გადასწყდეს ფიუმეს საკითხი. სამწუხაროთ ამერიკის დელეგაციას ამ საკითხის შესახებ კიდევ არ მიუღია საჭირო ინსტრუქციები, და ამიტომ საკითხი ჯერ კიდევ ვერ გადასწყდება.

სირიის საკითხის შესახებ მოხდა დროებითი მორიგება, რომელსაც კლემანსომ და ლოიდ ჯორჯმა მხარი დაუჭირეს. ეს შეთანხმება ძალაში დარჩება, სანამ შეერთებული შტატები მზათ არ იქნებიან ოსმალეთის საკითხში მიიღონ მონაწილეობა. კლემანსოს აღლენბისთან ჰქონდა თათბირი სირიის ოკუპაციის შესახებ. შემდეგ საბჭომ ბალტიის პროვინციების მდგომარეობის შესახებ დაიწყო თათბირი. განიხილეს ფოშის მოხსენება და ფონ. დერ-გოლცის ჯარის უკან დახევის საკითხი. ბულგარეთის ხელშეკრულებაზე სიტყვაც არ ყოფილა, რადგან ბულგარელებს ხელშეკრულებას მხოლოდ რამოდენიმე დღის შემდეგ ჩააბარებენ.

პოლკ. ჰასკელს წინადადება სომხეთისადმი.

პოლკ. ჰასკელმა სომხეთის მთავრობას შემდეგი წინადადება გაუგზავნა:

„ამასთანავე გიდგენთ თქვენ იმ პირობებს, რომლის მიხედვითაც უნდა დაწესდეს შარურ-დარალაგეზის და ნახიჩევანის მაზრებში ნეიტრალური ზონა.

ეს საკითხი განიხილეს პოლკ. ჰასკელმა და აზერბეიჯნის პრემიერ მინისტრმა მარიამობისთვის 29 ს 1919 წ. და შემდეგ შეთანხმებას მიაღწიეს:

1) შარურ დარალაგეზის და ნახიჩევანის მაზრებში უნდა დაწესდეს ნეიტრალური ზონა.

2) ზონას უნდა მმართავდეს ამერიკელი გენ. გუბერნატორი, რომელსაც პოლკ ჰასკელი დანიშნავს.

3) ადგილობრივი სამართველო მაჰმადიანთაგან უნდა შესდგებოდეს, გარდა იმ ადგილების, სადაც უმრავლესობა სომხებისაა.

ამის რამორკვევა გენ. გუბერნატორის მოვალეობას შეადგენს.

4) სომხეთის და აზერბეიჯანის მთავრობამ დაუყონებლივ უნდა გამოიყვანონ თავიანთი ჯარები და არც ერთი ნაწილი არ უნდა შევიდეს შიგ თუ ამას თვით გენ. გუბერნატორი არ მოითხოვს.

5) სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობამ დაუყონებლივ უნდა გამოიწვიონ თავიანთი აგენტები და სხვა პირნიც, რომელნიც ხალხის აღელვებას ხელს უწყობდნენ.

6) აზერბაიჯანმა და სომხეთმა 1-ლ ენკენისთვემდე დაპატიმრებულთა სრული ამნისტია უნდა გამოაცხადონ.

7) ნეიტრალურ ზონაში ადგილობრივი მოსამსახურენი გენ. გუბერნატორის მიერ ინიშნებიან.

8) აზერბაიჯანის მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს, ნეიტრალურ ზონის და ერევანის მაზრის მოსახლეობის დასამშვიდებლად.

9) სომხეთის მთავრობა უნდა სცდილობდეს ზანგეზურის სომხობის დამშვიდებას.

10) სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობებმა უზრუნველი უნდა ყოფნ ამ ფარკლებში სომეხ მაჰმადიანთა ქონება და სიცოცხლე

მ. 11 12 13 14 და 15 მუხლი ეხება მათ ურთიერთ ორის ამოკვეთებულებას რკინის გზ., სურათის და სხვას.

16) სომხეთსა და ნეიტრალ ზონის საზღვარად ითვლება „მგლის კარი“.

17) ნეიტრალურ ზონის ხარჯები უნდა იფარებოდეს ადგილობრივ გადასახადებიდან. საჭირო თანხა აზერბეიჯანის ხაზინიდან უნდა იყოს ნასესხები ამერიკის გენ. გუბერნატორის კონტროლით.

18) სკოლებში სწავლა ჩვეულებრივად უნდა სწარმოებდეს.

19) ნეიტრალურ ზონაში სინიდისის თავისუფლებაა გამოცხადებული.

ცხელი მოჰკლეს!

რა თავზარდამცემი ამბავია!

ილია ჭავჭავაძის მოკვლის შემდეგ ამისთანა სირცხვილი თავს არ დაგვტეხია!

მოჰკლეს მგოსანი, რომლის პოეტური ოცნება სიყრმიდანვე საქართველოს დამოუკიდებელი ცხოვრებისა და წარმატების ნატვრას წარმოადგენდა!

განგმირეს ის შუბლი, რომლის ზეგა, რდმო მადლმა ქართულ ლიტერატურას შემოქმედების შვენიერი ქმნილებანი შესძინა!

განგმირეს ის გული. რომელიც სამშობლოსდა სიყვარულით ფეთქავდა!

რა ბარბაროსობაა!

ცახელი—ნამდვილი პოეტი იყო. მისი ნაწერები ოგვაგონებენ ჩანგურის წკნარსა და ტკბილ ხმას და სავსებით გამოხატევენ მგოსნის მშვიდს, კაცთმოყვარეს, კეთილ ბუნებას.

ვის რად დასჭირდა მგოსნის სიკვდილი? ვინ რისთვის ჩაიდინა ეს ვერაგობა? რა შეშურდათ მისი?

ცახელი ქოსებრივად ღარიბი იყო. მართალია, სამოც ქცევამდე მიწა ჰქონდა, მაგრამ დეკრეტის ძალით ოცი ქცევალა-შერჩა.

მაგრამ განსაკუთრებული გულის თქმით უყვარდა მიწა და თავისი ბატარა მამული ისე ჰქონდა გაშვენებული, რომ ნამდვილს ხელოვნურ ნაწარმოებს, პოეტური შემოქმედების ნაყოფს დაამსგავსა!

დიაღ! უყვარდა მიწის მოქმედებაში სიკეკლუცე, წესი და რიგი იმგვარადვე როგორც თავისი ლექსების სინარნარე, საამური რითმი და წყობილობა.

მაშ ვის ჰქონდა მასზე მეტი უფლება, ყოფილიყო ბატარა ბაღ ვენახის მესაკუთრე?!

წყეულიც იყოს იმ ავაზაკის ხელი, რომელმაც საქართველოს კეთილშობილ შვილსა და საყვარელ მგოსან მასწავლებელს მზაკვრულად სიცოცხლე მოუსპო!

მაგრამ შეცდა მკვლელი: არა თუ ვერ შესძლო პოეტის ხსოვნის აღხოცვა, არამედ მოწამებრივი გვირგვინით შემოსა.

და ცახელი ახალთაობათა აღმზრდელი და განმაკეთილშობილებელი შეიქნება არა მარტო თავისი შემოქმედების ნაწარმოებთა მიერ, არამედ მოწამებრივი სიკვდილითაც.

საუკუნო იყოს ხსენება შენი, კეთილო ადამიანო და კეთილშობილო მგოსანო, მარად სახსოვარო ჩემო მეგობარო ბარმენ!

ვასილ. წერეთელი.

ქუთაისის თეატრის გარშემო.

ერობამ და ქალაქის გამგეობამ იკისრა ქუთაისის ქალაქის თეატრის შეკეთება. განზრახულია კაფე „რეიმი“-ს კედელი გაარღვიონ და იქ მოაწყონ ფოიე. უკანასკნელის აუცილებლობა ყველასათვის ცხადია. ამას გარდა შეკეთებული იქნება თვით დარბაზი. გადაწყვეტილია აგრეთვე სცენის გაფართოვება. ამ მიზნით სცენას მიემატება შოთ-ძის მაღაზია.

დეკორაციების საჭიროებისთვის ერობა აძლევს თეატრს დიდ-ძალ ტილოს და ქირაობს მხატვრებს ახალ დეკორაციების დასახატავათ.

ერობას და ქალაქის გამგეობას განზრახული ჰქონდა თეატრის სრულიად გადაკეთება, იარუსების აშენება, თეატრის გაფართოვება კუთხიდან კუთხემდე,

მაგრამ რადგან სეზონის დაწყება განზრახულია 1 ოქტომბრიდან, ამიტომ წელს ასეთი რადიკალური ცვლილება შეუძლებელი გახდა გაისისთვის კი გადაწყვეტილია თეატრის სრული გადაკეთება.

ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობას ღებულობს ერობის თავმჯდომარე კ. სულაქველიძე.

დრამატიული საზოგადოება, თავის მხრით, უკვე შეუდგა სეზონის სამზადისს

დასი შევსებული იქნება ახალი ძალებით თფილისიდან იწვევენ ნ. დავითაშვილის და ე. ანდრონიკაშვილის ასულთ, ალ. იმედაშვილს, შ. დადიანს, გ. არადელიშხნელს და სხვ..

სეზონში იმუშავებენ აგრეთვე დამსახურებული მსახიობი ქ-ნი ნ. ჩხეიძე (თვეში ორი გასტროლი), მ. მდივანი, ლ. ღოღობერიძე, ალ. ყალაბეგიშვილი, ა. მურისიძე, ვ. ჩხიკვაძე, შ. ჯაფარიძე, ბ. კორიშელი, შ. გომელაური და სხვანი. განზრახულია მოიწვიონ გასტროლებზე ვ. აბაშიძე და სხვ.. რეჟისორათ მოწვეული არიან შ. დადიანი და ალ. იმედაშვილი.

დრამატიულ საზოგადოებას გათვალისწინებული აქვს, რომ შემოსავალი ვერ დაფარავს ხარჯს და დეფიციტის დასაფარავათ გადადებული აქვს **100000** (ასი ათასი) მანეთი.

ყველაფერი ეს მას მოწმობს რომ თეატრის საქმეს ქუთაისში წელს სერიოზულათ მოკიდეს ხელი. მაგრამ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ არ უნდა დაივიწყოს ერთი რამ: საჭიროა მსახიობების სრული უზრუნველყოფა ჯამაგირის მხრით.

ტყის გეგარა სოფლად.

მიწად მოქმედების სამინისტროს დაუწესებია საოცარი ნიხრი რომელიც აქვე მოგვყავს. დამტკიცებულია მიწად-მოქმედების მინისტრის მიერ და ხელს აწერს ნ. ხომერიკი.

ეს ნიხრი სრულიად აქვე მოგვყავს:—

ნიხრი № 3.

საქართველოს ტყეებში არა პირდაპირ სხვა და სხვა სარგებლობაზედ.

საბაჯახოზედ მთელ სეზონის განმავლობაში:

	მან.	კაპ.
მსხვილ საქონელზედ სულზედ	3	„
ცხვარზედ	2	„
ღორზედ	3	„
თხაზედ	10	„
ერთ დროულ გადასახადზედ:	—	„
მსხვილ საქონელზედ	„	50
წვრილ საქონელზედ	„	20
თხაზედ	1	„

ნახნავ-ნათესზედ:

1 დესიატინა, ხორბლეულობით		
დასათეს სარწყავზედ	100	„
ურწყავზედ	50	„
საბოსტნო, სათამბაქო, ბამბაზედ	120	„
სათიბზედ: ერთ ფუთს თივაზედ	2	„

ერთ ფუთ ნაყოფის მოგროვებაზედ:

1 ფუთ თხილზედ	10	„
1 ფუთ კაკალზედ	5	„
ვაშლზედ	5	„
წიფელ და რკოზედ	„	50
1 ფუთ მოცვზედ	100	„
ნედლ თხილის ფოთოლზედ	5	„
ხმელზედ	10	„
1 კუბ. საჟ. ფურკლის ტოტებზედ და ფოთლებზედ	20	„
ძეძვზედ	20	„
ღვიაზედ	30	„
ფიჭარზედ და ფოთოლზედ	20	„
1 ფუთ ჭიის ფოთოლზედ	10	„
მუხის და ცაცხვის ხმელ ქერქზედ	3	„
ტირიფის ხმელ ქერქზედ	2	„

ქვა, სილა, თიხაზედ:

1 კუბ. საჟ. საკირე ქვაზედ	40	„
კლდის ქვაზედ	25	„
სილაზედ	10	„
თიხაზედ	20	„

საშენებელ ნათალ ქვაზედ:

1 არშინიან სიგრძის ქვაზედ	5	„
არშინზედ მეტს სიგრძე ქვაზედ	10	„
წისქვილის ქვაზედ 1 არშინამდე	50	„
არშინზედ მეტი თითოეული ქვა	5	„
საფლავის ქვაზედ არშინ ნაკლები	20	„
არშინზედ მეტი ყოველ ნახევარ არშინზედ	10	„

ნადირობაზედ და თევზაობაზედ:

დათვის თითოჯერ მოკვლაზედ	50	„
სეზონში ძაღლით ფრინველებზე ნადირობაში	100	„
უძაღლოთ	50	„
მტაცებელ ნადირზედ	30	„
თევზის ჭერაზედ ჩანგლით	5	„
ბადით ჭერა	100	„
კიბოების ჭერაზედ	10	„

ლელა—ჩალა.

ერთ უღლიან ურემზედ	5	„
ყევარზედ	8	„
საპალნე ცოცხზედ	2	„
საპალნე ტირიფის ცოცხზედ	2	„
1 კუბ. საჟ. გვიმრა და იაპშანის ტუტის მასალაზედ	5	„
ნაცარ-ტუტის დამზადებაზედ $1^1/_2 \times {}^3/_4$ არშინ.	25	„

ხონელეგის საქმე.

როდესაც ქ. ხონის და მისი შემადგენელობის სოფ. ქარჩხების და ივანდიდის მცხოვრებლებმა განიზრახეს მთავრობისადმი მიმართვა, რომ ქალაქი ხონი ისევ დაბად გადაკეთებულიყო, იმათმა მომმართეს მე, როგორც ხონის მცხოვრებს, და მთხოვეს, რომ მათი თხოვნა გარდამეცა მთავრობისთვის. ამ მიზნით ხონელებმა მოახდინეს 1919 წ. 19 აგვისტოს ქ. ხონში ყრილობა, რომელზედაც დაადგინეს ეთხოვოს მთავრობას ხონი ისევ დაბად გადაკეთდეს. რადგან საქალაქო გარდასახადების გარდახდა მათთვის ძნელი და აუტანელი შეიქნა. ამ მიზნით იმავე დღეს შედგენილ იქნა ოქმი, რომელზედაც გაიმართა ხელის მოწერა.

როდესაც ხელის მოწერა, თითქმის, თავდებოდა, ყრილობაში გაჩნდა ხონის თვითმართველობის გამგეობის წევრი ილია რუხაძე, რომელმაც ამაღლებულის ხმით იკითხა „ვისი განკარგულებით და რა მიზნით შეკრებილა ხალხი და რა საგანზე გაქთ მსჯელობაო, თქვენ აქ „პოდლოგებს“ აკეთებთ, ვინ მოგცათ ამის ნებაო“ და ამ სიტყვებზე ხელი მოკიდა ოქმს, რომელზედაც საზოგადოებამ ხელი მოაწერა, დაკუმშა იგი და ჯიბისაკენ გასწია ჩასადებად. ამ დროს იქ მდგომმა, პირებმა, რომელთაც დავალება ქონდათ თვალ ყური ედევნებიათ ხელის მოწერისთვის, ეცენ რუხაძეს და გამოგლიჯეს ოქმი. ამით გათავდა პირველი ყრილობა. მეორე ყრილობა იყო დანიშნული 24 აგვისტოს. ამ დროს დილით ადრე ხონში ქუთაისიდან ჩამოვიდა ბ. მაზრის კომისარი ორმოცდა ათი გვარდიელით, მათთან ერთად ჩამოვიდენ სამი ავტომობილით ქუთაისის მუშათა საბჭოს წევრები. როგორც მერმე გამოირკვა, ამათთვის ხონის თვითმართველობის გამგეობას ეცნობებინა, რომ ხონში „პოგრომი“ მზადდება, ხალხს უნდა თვითმართველობა დალეწოს, დაარბიოს ბაზარი და საზოგადოთ ხონს დიდი უწესობა მოელისო. ასეთი ყალბი ხმების გავრცელების შემდეგ, ერთი იმათგანი, ადგილობრივი გიმნაზიის დირექტორი, ვინმე მიხაკო ჭავჭანიძე, სამტრედიაში გაპარულიყო და იქ უცდიდა, როდის დააქცევენ ხონს და დაარბევენო. როდესაც ბ. მაზრის კომისარი დარწმუნდა, რომ არავითარი „პოგრომი“ ხონს არ მოელის, საღამოს ბრძანა, ყრილობა გაეხსნათ და ოქმზე ხელის მოწერა განეგრძოთ. ამისთვის თავმოყრილმა საზოგადოებამ მე დამიბარა და მთხოვა კრება გამეხსნა. მეც განუმარტე საზოგადოებას მიზანი ჩვენი შეკრებისა და მიზანი ამ კრებისა. მოუწოდე დაეცვა ხალხს წეს-რიგი და თავი დაენებებია პოლიტიკურ გამოსვლებისთვის და საზოგადოთ ვურჩევდი უკიდურეს პოლიტიკურ პარტიებისათვის თავის დანებებას, რომელთაც საქართველო დღუპვისკენ მიყავთ. ამით გათავდა იმ დღეს კრება.

მოულოდნელად 6 ენკენისთვეს ღამის პირველ საათზე, ხონის კომისარი იოსელიანი, კარებზე მომადგა და დამიძახა: დილისათვის მაზრის კომისარი გიბარებსო. დილის 6 საათზე მეც წავედი ადგილობრივ მილიციის კანცელარიაში, სადაც თავი მოეყარა 8 კაცს, რომელნაც იმ ღამეს დაეტუსაღებინათ და ჩემთან ერთად ბ. მაზრის კომისარმა ქუთაისში ჩამოგვიყვანა. იმ დღიდან აქ ვიმყოფებით. ბრალდებას არ გვიდგენენ, მხოლოდ გვეუბნებიან საქმეს გამოვიძიებთო.

ლუკა ლუკას ძე ბახტაძე, იასონ პავლეს ძე ჩხენკელი, გერასიმე პეტრეს ძე მელაძე, გიორგი დავითის ძე სანაძე, ევგენი სიმონის ძე ბახტაძე, ანტონ ბახტაძე, ნიკო ისიდორეს ძე ჭავჭანიძე.

P. S. ხსენებული პირნი დღეს უკვე დატყვევებულნი არიან.

რედაქცია.

კორესპონდენცია.

ქვემო რაჭა. რაჭაში ამ ჟამათ საქონლის ჭირი მძვინვარებს.

უღელი ხარი ამ ჟამათ აქ ათასიდან ორი ათას თუმნამდე ფასობს, ერობამ უკვე სამი თვის წინეთ განუცხადა საზოგადოებებს, რომ ფული შეეკრიბათ ასაცრელ შრატის შესაძენათ, მაგრამ ეს არ მოხერხდა მაშინ სხვა და სხვა მიზეზების გამო. ამ ჟამათ აქ ხდება ამ შრატის შესაძენათ უზომო ექსპლოატაცია, რის მეოხებითაც უზომოთ იცარცვება ხალხი.

როგორც ცნობილია, რაჭაში მიწაწყლის ძლიერ ნაკლებობა არის. რაც არის ხეირიანი მიწები ნიალვარს მიაქვს, ზოგიერთი მთის მდინარე, სოფლებს მთლათ ანადგურებს და თუ მათ წინააღმდეგ მთავრობამ და ხალხმა რაიმე ზომა არ მიიღო უფრო და უფრო შეამცირებენ ყანების რიცხვს. ამ ზემო დასახელებულ მიზეზების გამო აქაური ხალხი გარეთ დაიარება სამუშევრათ სხვა და სხვა ხელობაზე მუშაობს. აი ამათგან შესდგება ის სპეკულიანტთა ჯგუფი, რომელიც ხალხს ამ დღეს აყენებს: ერთს ბოთლ შრატში (ორი ჩაის ჭიქა თუ გამოვა), რომელიც მას ხარჯიანათ 150—200 მანეთზე მეტი არ უზის და 2000 მანეთს ახდევინებს. ვინც ფულს ვერ ახერხებდა მათ ეუბნებოდენ: აუცრით შენს ხარებს და ორში ერთი ჩვენ მოგვეცითო. იმდენათ თავხედები გამოდგნენ ეს სპეკულიანტები, რომ საზოგადოების სახელზე დაკვეთილი წამალი, ბათუმში მოიპარეს, საწყობი გაეტეხათ და თავის სოფელ ზნაკვაში 3000 მან. გაეყიდათ ბოთლი. და როდესაც რაიონის კომისარმა ისინი დააპატიმრა, უკმეხი პასუხი მისცეს თურმე—„ვის რა უნდა, ნეტავი ხუთას თუმანსაც მოგვცემდენ ბოთლში, თუ არ სჭირიათ ნუ იყიდიანო“. აქ უმოქმედობას იჩენს ერობაც. მასა, სთხოვს, რომ წამლის შეძენის უფლება მისცენ, ერობის გამგეობა ასეთ რეზოლიუციას აწერს თხოვნას: „თუ საჭიროა წამალი და აგრეთვე თუ სადმე იშოვება ადგილობრივ ბეითალს, რომელიც ამა და ამ სოფელში არის ახლა, ჰკითხეთ და ჩამოართვით მოწმობა და მერე ითხოვეთ ნებართვაო“. აქედან ასეთი დასკვნა გამომდინარეობს: ერობის გამგეობას არ სცოდნია თავის თავათ საჭიროა თუ არა წამალი. თუ ეს არ იცის არც ის ეცოდინება ჭირია თუ არა რაჭაში, როდესაც ამ ჭირმა უკვე მილიონებათ ღირებული საქონელი გაანადგურა და მეორე ის, რომ მან ე. ი. გამგეობამ არ იცის იშოვება წამალი სადმე თუ არა, ამავე დროს ეს არამც თუ ბეითალპა, ყველა სპეკულიანტმა იცის. ამ გვარათ ემსახურება ერობა ხალხის ინტერესებს. ეს ერობა სხვა დარგშიდაც ვერ იჩენს აქტივობას, მას დღემდის ვერ მოუხერხებია მოსამართლეების არჩევა. რის გამო წელიწადი მეტია, რაც სასამართლო ამბროლაურში დაკეტილია, ხალხში კი სასამართლოს არ ქონების გამო დიდი არევ-დარევა სუფევს. თოთხმეტი საზოგადოებაა სულ ქვემო რაჭაში სულ რომ დავამციროთ 5 000 მოსახლეა. თითო მოსახლეს თითო ბოთლი უნდა მაინც. სპეკულიანტების [illegible] ათასი ბოთლი წამალი [illegible] მილიონ მანეთი ამას, რომ გამოვაკლოთ მილიონ ნახევარი რაც დასჯინიათ, სპეკულიანტებ დარჩებათ რვა მილიონ ნახევარი. კიდევაც რომ შევამცეროთ ეს რიცხვიც, რვა მილიონამდე მაინც ააფცქვნიან ხალხს. ერობას რომ ყოათი გამოეჩინა და თვითონ გასძღოლოდა ამ საქმეს ხალხს მაშინ 400—500 მანეთზე მეტი არ დაუჯდებოდა ბოთლი წამალი და ათას ხუთასი მანეთი სპეკულიანტებისაგან აფცქვნილი შერჩებოდა თითოს, ერობას კი ცოტა მოგებით რომ გაეყიდა ნახევარ მილიონზე მეტი დარჩებოდა. ხალხი, დარწმუნებულია, რომ თუ კი ეს ამბავი საქ. დ. რ. მთავრობის ყურამდე მივა შეუმჩნევლათ არ ჩაარონიებს და იმედიც არის რომ ზემო დასახელებული მთავრობა სასტიკ გამოძიებას მოახდენინებს ამ საქმის გამო და დამნაშავეებს პასუხისგებაში მიაცემინებს.

„ურო“.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო იმ პირთ, რომლებმაც ტვიშის ახლად გახსნილ სამკითხველოს თავიანთი წვლილი შემოსწირეს:

სია შემომწირველთა:

ასი მანეთი ტიტიკო ასათიანმა, ხუთი თუმანი-არქიფო ასათიანმა, ალფეზ ასათიანმა, ოცდა ხუთი მანეთი, პავლე ნემსიწვერიძემ, 20 მანეთი ღომერ ახვლედიანმა, 15 მანეთი, ფაქია ახვლედიანმა; თითო თუმანი: აბელა უგრეხელიძემ, გრიგოლ ასათიანმა, დანიელ ლაჭყეპიანმა, მიხეილ ნემსიწვერიძემ, კონსტანტინე ლომთაძემ, მელქისელეგ ასათიანმა, ორენტი ახვლედიანმა, ანტონ ახვლედიანმა, ვალოდია ასათიანმა, ერმალო ბანძელაძემ, ტარასი ბანძალაძემ, პორფილე ნემსიწვერიძემ, დიანოზ სვანიძემ, ილარიონ ნემსიწვერიძემ, ილარიონ ნემსიწვერიძემ, გრიშა ასათიანმა (მანვე შემოსწირა 20 მანეთად ღირებული წიგნი) ხენტორ ახვლედიანმა, ფილიპე, ლაჭყეპიანმა, მელიტონ ასათიანმა ხუთი მანეთი: სემი ასათიანმა, გრიგოლ ასათიანმა, სამსონ ახვლედიანმა, ალექსი ნეფსიწვერიძემ, 3 მანეთი: ილარიონ გორდეზიანმა და 6 მანეთი სარიტენ ახვლედიანმა.

პატივ. ტიტიკო ასათიანი

მოქალაქე რედაქტორო.!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით განვაცხადო შემდეგი:

დიდიხანია, რაც მე მასწავლებელთა კრებამ დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა კავშირთა კავშირში თავის დელეგატათ ამირჩია, ხოლო სულ ცოტა ხნის შემდეგ დღიდან დელეგატათ არჩევისა კავშირთა კავშირის კოოპერატივის სასწრაფოთ რევიზიის მოსახდენათ დელეგატთა მორიგმა კრებამ სარევიზიო კომისიის წევრობა დამაკისრა.

რადგანაც, სამწუხაროთ, ვერც ერთ თანამდებობას, ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო, პირნათლათ ვერ ვასრულებ, ამიტომ ამიერიდან ორივე თანამდებობას თავს ვანებებ.

სიტყვიერად ამის განცხადება მე და გ. კენკაძეს დიდიხანია გვსურდა, მაგრამ, ჩვენგანვე დამოუკიდებელ მიზეზების გამო, ვერ მოვახერხეთ; ხოლო რადგანაც კენკაძე მისი ქუთაისიდან გადაყვანით დელეგატისა და სარევიზიო კომისიის წევრის მოვალეობათა აღსრულებისაკან თავისთავად თავისუფლდება, ამიტომ ამ განცხადებას მარტო ჩემი სახელით ვაცხადებ.

მასწავლებელი არჩილ მიქაბერიძე.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.